ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

ბრძანება:**ბ44.442205921**
თარიღი:**28/02/2022**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში რეორგანიზაციის პროცესის დაწყების,

რეორგანიზაციის ჩატარების ვადის განსაზღვრის, რეორგანიზაციის სამოქმედო

გეგმისა და რეორგანიზაციის რეჟიმში მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების (სამსახურების) საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 102-ე მუხლის, 103-ე მუხლის პირველი პუნქტის, 104-ე მუხლისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N9 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების 32-ე მუხლის საფუძველზე;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დაიწყოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში რეორგანიზაციის პროცესი.

2. რეორგანიზაციის ჩატარების ვადად განისაზღვროს 3 /სამი/ თვე.

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადმა სტრუქტურულმა ერთეულმა ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების განყოფილებამ უზრუნველყოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში რეორგანიზაციის პროცესის დაწყების შესახებ ინფორმაციის დაუყოვნებლივ მიწოდება საჯარო სამსახურის ბიუროსადმი.

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადმა სტრუქტურულმა ერთეულმა ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების განყოფილებამ უზრუნველყოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებულ პროფესიულ საჯარო მოხელეთა გაფრთხილება, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე რეორგანიზაციისას შტატით გათვალისწინებულ თანამდებობათა შესაძლო შემცირებისა და სამსახურიდან მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ.

5. დამტკიცდეს რეორგანიზაციის სამოქმედო გეგმა N1 დანართის

შესაბამისად;

/დანართი N1 ბრძანებას თან ერთვის/.

6. დამტკიცდეს რეორგანიზაციის რეჟიმში პირველადი სტრუქტურული ერთეულების (სამსახურების) საქმიანობის წესი N2 დანართის შესაბამისად;

/დანართი N2 ბრძანებას თან ერთვის.

7. ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალებ პირადად .

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქალაქ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში/ვიქტორ კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

9. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

10. ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე /www.kutaisi.gov.ge/.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

იოსები ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი